ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ევგენია (მანანა) ლილუაშვილი

ქართული კულტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1921 წლებში

სპეციალობა _ 24.00.02 _ ისტორიული კულტუროლოგია

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2006

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მეცნიერ_ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ქეთევან პავლიაშვილი**

ოფიციალური ოპონენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **გურამ ლორთქიფანიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ირინე აბესაძე**

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 18 დეკემბერს, 14.00 საათზე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს №.H0701 №1 სხდომაზე

მისამართი: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ, № 1, აუდიტორია №-93

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაგზავნილია ,, 07,, ნოემბერი 2006 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ქ. პავლიაშვილი

1. სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა.</u> თანამედროვე ეტაპზე, მიმდინარე ეროვნული-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ფონზე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განათლების რეფორმას და თავად ამ პროცესში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლს. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, აქტუალური იქნება პირველი ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელთა გამოცდილების გაზიარება ევროპული საგანმანათლებლო პრინციპების საქართველოში დანერგვის თვალსაზრისით. თბილისის უნივერსიტეტი, სწორედ პროფესორ-მასწავლებელთა იმ პირველი შემადგენლობის წყალობითა და ძალისხმევით, ჩამოყალიბდა ევროპული ყაიდის უმაღლეს სასწავლებლად, ხოლო მისი აღზრდილი თაობა _ საერთაშორისო მასშტაბის მქონე კვალიფიცირებულ კადრებად.

ნებისმიერი სახელმწიფოს მცდელობას _ ფეხი აუწყოს თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე დიდ პოლიტიკურ-კულტურულ პროცესებს, მოერგოს მიმდინარე საერთაშორისო ძვრებს, პასუხი გასცეს გამოწვევას და შეინარჩუნოს თვითმყოფადობა, ესაჭიროება ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შემუშავება, რომელიც ტრადიციულ, ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნდება და, ამავდროულად, მსოფლიოს საგანმანათლებლო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

ქართულმა საგანმანათლებლო სკოლამ, დღიდან თავისი არსებობისა, საინტერესო ტრადიცია შექმნა. უწყვეტი განათლების სისტემა, რომლის დასანერგად ბრძოლა არანაკლები სიმწვავით იდგა XX საუკუნის 20-იან წლებში, უნივერსიტეტის დამაარსებელთა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვდა. ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება, ვფიქრობთ, საშური საქმეა და მას თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

<u>კვლევის ობიექტი</u>. საკანდიდატო დისერტაციაში დასმული საკვლევი პრობლემის მიზანი არის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1918-1921 წლების ისტორიის გაშუქება; მისი დაფუძნებისა და შემდგომი განვითარების რთული პროცესების წარმოჩენა – გაანალიზება; უნივერსიტეტისა და ახლადფეხადგმული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ურთიერთობა. შევეცადეთ, ნაშრომში წარმოგვეჩინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი საქართველოში განვითარებულ კულტურულ პროცესებში და მათში უნივერსიტეტის პროფესორთა მონაწილე-

ობა. ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით ესაჭიროებოდა ეროვნული დასაყრდენი, რომელიც დახმარებასა და თანადგომას გაუწევდა მას დემოკრატიული რეფორმების გატარებაში. ქართველი ინტელიგენციის სახით მთავრობას, ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ძლიერი და ერთგული ძალა ეგულებოდა.

<u>ნაშრომის მიზანი.</u> მიზნად დავისახეთ, შეგვესწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ერთ-ერთი რთული პერიოდი. სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც ძირითადად დღემდე გამოუქვეყნებელ დოკუმენტებს ეყრდნობა, მრავალრიცხოვანი საარქივო მასალის ურთიერთშეჯერებით, განხილულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი და მისი მნიშვნელობა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. საარქივო დოკუმენტებში ასახულია ის რთული გზა, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა, განათლების სამინისტროს მუშაკებთან ერთად, განვლეს ერთიანი ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამის შესაქმნელად და განსახორციელებლად.

შრომაზე მუშაობისას საჭიროდ ჩავთვალეთ, გაგვეშუქებინა უნივერსიტეტი არა როგორც მხოლოდ უმაღლესი სასწავლო-აკადემიური დაწესებულება, არამედ როგორც ქართული კულტურის, ეროვნული აზროვნების ცენტრი; ეროვნული საგანმანათლებლო კადრების აღზრდის კერა; წარმოჩინდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დამოკიდებულება ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმისადმი და, ზოგადად, სახელმწიფო პილიტიკისადმი. უნივერსიტეტის ისტორიის შესახებ მრავალი მონოგრაფიული ნაშრომი გამოიცა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, მაგრამ ზოგიერთი თემა, კერძოდ, უნივერსიტეტისა და ეკლესიის ურთიერთობა ტაბუირებული იყო, ამიტომაც მუშაობის პროცესში მოგვიხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დამოკიდებულების განხილვა სახელმწიფოს სარწმუნოებრივი პოლიტიკისადმი. საჭიროდ ჩავთვალეთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო კრებულის მოღვაწეობისა და მის წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებათა გაშუქება.

ამავე დროს, არ შეიძლება, არ აღინიშნოს ისიც, რომ ბევრი საარქივო დოკუმენტი არქივის საიდუმლო განყოფილებაში ინახებოდა, რის გამოც ისინი სამეცნიერო და ფართო საზოგადოებისათვის მიუწვდომელი იყო. მათმა განსაიდუმლოებამ ბევრ საკითხს მოჰფინა ნათელი. წარმოდგენილ გამოკვლევაში უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი ახლებურ გაანალიზებას მოითხოვს და ჩვენ პირველად გამოგვაქვს სამეცნიერო სამსჯავროზე.

<u>მეცნიერული სიახლე.</u>

სადისერტაციო ნაშრომში:

1. გაანალიზებულია საქართველოს ეკლესიისადმი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დამოკიდებულება;
2. ფაქტობრივად, პირველად, საარქივო მასალაზე დაყრდნობით, ახალი კუთხით წარმოჩინდა საქართველოს ეკლესიისა და ინტელიგენციის ერთობლივი ძალისხმევა საერო და სასულიერო განათლების ნაციონალიზაცია – დემოკრატიზაციის საქმეში;
3. გაშუქებულია ღვთისმეტყველების სწავლებისა და რელიგიის ისტორიის პრინციპები თბილისის უნივერსიტეტში;
4. შესწავლილია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სამღვდელოების ერთობლივი ძალისხმევა საეკლესიო და სამუზეუმო განძის დაცვა – გადასარჩენად;
5. წინ წამოწეულია თბილისის უნივერსიტეტის როლი ეროვნული კულტურის აღორძინების, კონკრეტულად, სამუზეუმო დარგის განვითარების საქმეში.
6. განხილულია საქართველოს საგანძურის XX საუკუნის 20-იან წლებში საზღვარგარეთ გატანის საიდუმლოების ისტორიის აქამდე უცნობი საკითხები;
7. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობა, სამეურნეო კოოპერაციათა დაარსება, და ა.შ.

<u>გამოკვლევის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზა</u>

საკანდიდატო დისერტაციაში შესწავლილია და კონკრეტულად გაანალიზებული თბილისის უნივერსიტეტის 1918-1921 წლების ისტორიის შესახებ არსებული დოკუმენტური მასალა, რომელიც დაცულია საქართველოს საისტორიო და უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში; საქართველოს მეცნირებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივში, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში; გამოკვლეულია და მეცნიერულად გაშუქებულია სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებული როგორც პრესაში არსებული მასალა, ასევე სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც სამეცნიერო-კვლევით, ისე სასწავლო პროცესში. მან შეიძლება დახმარება გაუწიოს საქართველოს განათლებისა და ეკლესიის ისტორიის საკითხებზე მომუშავე მკვლევრებს.

ნაშრომის აპრობაცია

სამეცნიერო ნაშრომის დიდი ნაწილი განხილულ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის რესპუბლიკურ სამეცნიერო სესიებზე; საქართველოს საარქივო დეპარტამენტის სამეცნიერო კონფერენციებზე.

ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავის, 12 პარაგრაფისა და დასკვნისაგან.

მას ერთვის გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების ჩამონათვალი.

დისერტაციის ძირითადი შინაარსი

შესავალი

საკანდიდატო დისერტაციაში დასმული საკვლევი პრობლემის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1918-1921 წლების ისტორიის გაშუქება; მისი დაფუძნებისა და შემდგომი განვითარების რთული პროცესის წარმოჩენა-განზოგადება; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული მისია ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში; უმაღლესი სკოლისა და ახლადფეხადგმული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ურთიერთობა. ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის ხელის შემშლელი მოვლენები თუ ფაქტები, რომელიც წინ უძღოდა უნივერსიტეტის დაარსებას საქართველოსათვის ესოდენ მძიმე პოლიტიკური გარემოების ჟამს.

თავი პირველი _ ქართული განათლების სათავეებთან

§1. საქართველოში უმაღლესი სკოლის ევოლუციის ისტორია.

ქართული საგანმანათლებლო ტრადიცია ისტორიის შორეულ წარსულში იღებს სათავეს და თავისი ტრადიციებით ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში.

ქართული და უცხოური წყაროები გვამცნობენ ადრეული და განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში საგანმანათლებლო კერების არსებობის შესახებ როგორც საქართვლოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ფაზისის, იყალთოსა და გელათის აკადემიებმა გაუთქვეს სახელი საქართველოს. XIV საუკუნეში, ფაქტობრივად, შეწყდა აკადემიების ფუნქციონირება, ქვეყნის მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო. ჩვენი წინაპრების წინაშე მწვავედ დადგა კულტურის უიშვიათეს ნიმუშთა გადარჩენის საკითხი.

XVIII საუკუნის მიწურულიდან იწყება ზრუნვა ქართული განათლების აღორძინებისათვის. ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს თბილისსა (1755 წ.) და თელავში (1782 წ.) აღმოცენებული სემინარიები. XVIII საუკუნის დასასრულს იოანე ბატონიშვილმა საქართველოს სახელმწიფოებრივი გარდაქმნის პროექტში აქტუალურად დასვა საკითხი საქართველოში უმაღლესი სკოლის გახსნის აუცილებლობის შესახებ. სამწუხაროდ, ამ იდეის განხორციელებას ხელი შეუშალა 1801 წელს საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ..

რუსეთის შემადგენლობაში შესვლამ ქვეყნის ცხოვრებაში კარდინალური ცვლილებები გამოიწვია; ხანგრძლივი დროით გადაწყდა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, რომლის შემდგომაც, ფაქტობრივად, საქართველოსთვის დაიწყო ახალი ერა.

რუსეთის იმპერიასთან, ნებსით თუ უნებლიეთ, დაკავშირებას დადებითი მხარეც ჰქონდა. ქართველ ხალხს ახალი პირობები შეექმნა ევროპულ და რუსულ კულტურასთან საზიარებლად. საბოლოოდ გაირღვა ჩაკეტილი გარემოცვა, რომელშიც ქართული კულტურა იმყოფებოდა. მიუხედავად ქართველი ერის ევროპისკენ ლტოლვისა, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ კულტურა ეროვნულ ტრადიციებზე განვითარებულიყო. ქართულ კულტურას, როგორც მცირერიცხოვანი ერის მიერ შექმნილს, უნდა დაემკვიდრებინა თავისი თვითმყოფადობა, რათა დიდ ერებთან ასიმილიციისაგან გადარჩენილიყო.

რუსეთის თვითმპყრობელობა მიუღებლად თვლიდა დაპყრობილი ერების ზიარებას დასავლეთის ცივილიზაციასთან, ეს მის ინტერესებში არ შედიოდა, ამიტომაც

იგი მხოლოდ ცარიზმის პოლიტიკისათვის მისაღები კულტურული ორიენტაციის დამკვიდრებას ცდილობდა.

ასეთ ფონზე, ბუნებრივია, ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილს შეუპოვარი ბრძოლა უხდებოდა ცარიზმის კულტურული პოლიტიკის წინააღმდეგ, რათა ეროვნული თვითშეგნება, კულტურა დაეცვა და მოეპოვებინა შესაძლებლობა, მაქსიმალურად აეთვისებინა ევროპული მიღწევები; ქართველი ინტელიგენციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქართული ეროვნული კულტურისა და, მათ შორის, ეროვნული სკოლის შენარჩუნება.

§2. ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის ბრძოლისა და მისი დაარსების წინაისტორია (XIX-XX სს-ის მიჯნა)

XIX საუკუნის საქართველოს უპირველესი მიზანი გახდა მეცნიერული აზროვნების განვითარება და ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლის შექმნისათვის პირობების მომზადება. საუნივერსიტეტო მოძრაობა საქართველოში მძლავრ ტალღად გადაიქცა. არაერთმა რუსმა მოხელემ აღძრა შუამდგომლობა რუსეთის იმპერატორის წინაშე, რათა თბილისში ისეთი უმაღლესი სასწავლებელი გაეხსნათ, რომელიც უნივერსიტეტის მაგივრობას გასწევდა და რუსეთს სასარგებლო კადრს მოუმზადებდა, მაგრამ ეს თხოვნა იმ ეტაპზე ნაადრევი აღმოჩნდა და უგულებელყოფილ იქნა. რუსეთი შიშობდა, რომ მომავალი უნივერსიტეტი გახდებოდა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გამავრცელებელი, რაც, ბუნებრივია, საფრთხეს შეუქმნიდა მისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. პირველი იდეა XIX ს-ის საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობისა და მისი მოთხოვნის შესახებ გაჩნდა 1832 წლის შეთქმულთა წრეში, რადგანაც მონაწილეთა უმრავლესობა ნაზიარები იყო რუსულ და ევროპულ განათლებას. აქედან გამომდინარე, მათ ქვეყნის ახლებურად განვითარების გზები დასახეს და თბილისში უნივერსიტეტისა და სამხედრო სასწავლებლების დაარსება მოითხოვეს; ეს მოთხოვნა იმ დროისათვის უსუსური აღმოჩნდა ისევე, როგორც თვით 1832 წლის შეთქმულება.

XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში დაბრუნებულმა ევროპულ განათლებას ნაზიარებმა ახალგაზრდობამ თან ახალი იდეები და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის პროგრამა მოიტანა. ისინი თავგამოდებით იცავდნენ ქართულ ენას, ერის ისტორიასა და კულტურას; იღვწოდნენ ქვეყნის კონსოლიდაციისა და ეროვნული

თვითშეგნების ამაღლებისათვის. ეს იყო გარდამტეხი პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, საიდანაც დაიწყო სულიერი აღორძინების ახალი ეტაპი.

ცარიზმის პოლიტიკის საპირისპიროდ იზრდებოდა ხალხის მისწრაფება განათლებისაკენ. ეროვნული მოღვაწენი კი მის გაღვივებას კიდევ უფრო უწყობდნენ ხელს. საქართველოში დღითიდღე მრავლდებოდა გიმნაზიების, კერძო პანსიონების, სამონასტრო და საოჯახო სკოლების რიცხვი. თანდათან მწიფდებოდა საზოგადოებრივი აზრი ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე.

ეს პერიოდი ცნობილია უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის ყველაზე აქტიურ პერიოდად. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განათლების საკითხს. სწორედ იგი გვევლინება ქართული უნივერსიტეტის დაარსების მესაძირკვლედ. მან სასკოლო საქმის დედაენაზე დაფუძნებისა და მისი ეროვნული ხასიათის შენარჩუნებისათვის ბრძოლის რთული გზა აირჩია. გადაიდგა ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯიც.

ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, გ.წერეთლის ხელმძღვანელობით, უნივერსიტეტის გახსნის გეგმა შეიმუშავეს. მათი პროექტი უნივერსიტეტის ევროპულ ყაიდაზე მოწყობას გულისხმობდა. მიზნის მისაღწევად ბრძოლა გაიშალა ადგილობრივი რუსული და ქართული პრესის ფურცლებზეც. აქტიურობდნენ გაზეთები: «კავკაზი», «დროება», «ტიფლისკი ვესტნიკი», «ობზორი». პრესაში განიხილებოდა საკითხი უნივერსიტეტის შექმნის შესაძლებლობის, მისი დანიშნულების, მასწავლებელთა კადრებისა და მოსწავლეთა შესახებ, რომლებიც პირდაპირ, ან არაპირდაპირ ეხებოდა უმაღლესი განათლების პრობლემებს.

უნივერსიტეტის დაარსების საკითხზე ასეთი ფართო დისკუსიის გაჩაღება მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ საკითხს თერგდალეულები. უმაღლესი სასწავლებლის გახსნის იდეა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებს ემსახურებოდა და შედიოდა სამოციანელთა საბრძოლო პროგრამაში. მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს განათლების სისტემის რეფორმის საქმეში. ქართული საზოგადოების მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული მუშაობა პირველი ნაბიჯი იყო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ევროპული გამოცდილების დანერგვის თვალსაზრისით.

ამრიგად, თერგდალეულთა მოღვაწეობით ფაქტობრივად იწყება ახალი ეტაპი საქართველოში, რასაც თან მოჰყვა იმ გზებისა და საშუალებების გამოძებნა, რომელიც

უზრუნველყოფდა თბილისში ეროვნული კონცეფციებიდან ამოსული უმაღლესი სკოლის დაფუძნებას. თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა კარგად იცოდნენ, რომ მომავალში ქართული უნივერსიტეტი ხელს შეუწყობდა ეროვნული მსოფლმხედველობის მქონე თაობების აღზრდას, რომელსაც ესოდენ საჭიროებდა ქვეყანა.

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსებით ნაწილობრივ გადაიჭრა ეს საკითხი. იგი რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც თავის შემოსავლებს ერის კულტურულ საგანმანათლებლო ინტერესებს ახმარდა. ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძესთან ერთად, ქართული გიმნაზიის შენობას თვლიდა მომავალი უნივერსიტეტისა და პედაგოგიური კადრების კერად.

რუსეთის მთავრობამ ეროვნულ ძალთა გამოწვევა მიიღო და მოგვიანებით 1917 წელს თბილისში ამიერკავკასიის უნივერსიტეტი დააფუძნა, რომელიც, ფაქტობრივად, რუსეთის მთავრობის პლაცდარმი იყო ქართული უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსეთის მთავრობის ხელშეწყობის მიუხედავად, ამიერკავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოღვაწეობა კრახით დაასრულა. იგი თავისი კონტინგენტითა და ინვენტარით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა.

თავი მეორე _ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1921 წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ფონზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ღრმად სწამდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდნენ. პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაცია ცდილობდა, მოეპოვებინა ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერა, მაგრამ - ამაოდ, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობა მათ ინტერესებში არ შედიოდა. თითოეულ მათგანს თავისი ინტერესები ამოძრავებდა და საკუთარი პლაცდარმის შექმნას აპირებდა ამიერკავკასიაში. ამიტომაც ისინი ხელს უწყობდნენ კაკვასიელი ხალხის ურთიერთდაპირისპირებას. სტრატეგიულად ხელსაყრელი ამიერკავკასიის ხელში ჩაგდების მსურველნი სხვადასხვა ხერხით ცდილობდნენ, თავიანთი მიზნების განხორციელებას. იმ დროს, როდესაც ინგლისის ჯარებს ამიერკავკასია ეკავათ, ამერიკული პრესა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა აღიარების წინააღმდეგ ილაშქრებდა. ამერიკელი დიპლომა-

ტების აზრით, კავკასიის რესპუბლიკათა აღიარება, რომლებიც, ფაქტობრივად, ბრიტანეთის არმიის კრეატურას წარმოადგენდნენ, ამიერკავკასიასა და თურქეთში ბრიტანეთის გავლენის ახალ ზონას შექმნიდა. ამირკავკასიაში, ერთმანეთს შეეჯახა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სახელმწიფოთა ინტერესები. ამიერკავკასიით დიდი ბრიტანეთის დაინტერესება შემთხვევითი როდი იყო. ჯერ კიდევ 1917 წლის 23 დეკემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს საიდუმლო ანტისაბჭოურ ხელშეკრულებას, რომლის ძალით, უკრაინა და ყირიმი საფრანგეთის, ხოლო მთელი კავკასია - ინგლისის გავლენის სფეროდ ცხადდებოდა.

ამერიკული მისიები გარკვეული დავალებებით ხშირად სტუმრობდნენ ამიერკავკასიას და ადგილობრივ მთავრობათა გავლენიან პირებთან სეპარატულ მოლაპარაკებებს ეწეოდნენ, ჰპირდებოდნენ მათ ეკონომიკურ დახმარებას, აღუთქვამდნენ იარაღითა და საომარი მასალით ადგილობრივი არმიების მომარაგებას. ამავე დროს გაფაციცებით სწავლობდნენ ამიერკავკასიის ეკონომიკურ შესაძლებლობებს და მისი მომავალი ექსპლოატაციის გეგმებს ადგენდნენ. ამერიკული მისიები და კომიტეტები თავს შეუზღუდავად გრძნობდნენ, უცერემონიოდ ერეოდნენ ადგილობრივ მთავრობათა საშინაო საქმეებში, აწარმოებდნენ დაზვერვით სამუშაოებს და შემდეგ ამიერკავკასიის ეკონომიკის შესახებ ცნობებს ათავსებდნენ ამერიკულ პრესაში. ვილსონის 14 პუნქტისგან შედგენილი გეგმა ითვალისწინებდა სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის წესს და მათ ადგილს საერთაშორისო არენაზე. ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის მიერ პარიზის საზავო კონფერენციისათვის შედგენილი იქნა სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილი და დასაბუთებული იყო ყველა ის მოთხოვნა, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა ამერიკელთა პოზიციას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პროექტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სომხეთისა და საქართველოს საკითხს. მთავარი დასაყრდენი სომხეთისათვის გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ხელს უწყობდა მისი აგრესიული ზრახვების განხორციელებას. საერთაშორისო ვითარების ასეთ ფონზე საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფო ნელ-ნელა მაინც იკრებდა ძალებს და ცდილობდა მოკავშირეების მოძებნას, რომლებიც შემქნილი რთული მდგომარეობიდან გამოიყვანდნენ მას. იმ პერიოდის საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ ინგლისს, ამერიკას, გერმანიას, იტალიას, თურქეთსა თუ

საფრანგეთს _ ყველას თავისი ინტერესები ამოძრავებდა და საკუთარი პლაცდარმის შექმნას აპირებდა ამიერკავკასიაში.

1918 წლის 20 დეკემბერს სომხეთის სახელმწიფო ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს. როცა გამარჯვების სასწორი, ქართველთა მხარეს გადმოიხარა, არბიტრის როლი ერთი მხრივ, ინგლისის, მეორე მხრივ, რუსეთის მისიამ იკისრა და ომი შეწყდა. შეიქმნა დემილიტარიზებული ზონა, მაგრამ საქართველოსა და სომხეთის მთავრობათა შეთანხმება ვერ მოხერხდა. შეიქმნა საერთაშორისო საარბიტრაჟო კომისია, მაგრამ ვერც მისმა მუშაობამ გამოიღო შედეგი. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიული დავა ბოლომდე გადაუწყვეტელი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილმა კომისიამ ი. ჯავახიშვილისა და პ. ინგოროყვას შემადგენლობით, შეისწავლა და დაადგინა საქართველოს საზღვარი სომხეთთან, მისი გატარება შეუძლებელი აღმოჩნდა. საქართველომ ამ ომში ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკარგა. იგი ემსხვერპლა დიდი სახელმწიფოების ფარულ გარიგებებს, რამაც, ბუნებრივია, გავლენა მოახდინა მოკავშირის გარეშე დარჩენილი საქართველოს მთავრობის პრესტიჟზე.

თავი მესამე _ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამოკიდებულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებისადმი.

§1. ივანე ჯავახიშვილისა და ქართველი ინტელიგენციის მეცადინეობა თბილისში უნივერსიტეტის დაარსებისათვის («ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოება»).

ქართველმა ინტელიგენციამ უნივერსიტეტის დაარსებისთვის ბრძოლა წარმართა ერთი მხრივ, პეტროგრადში მყოფ დროებით მთავრობასთან და, მეორე მხრივ, თბილისში მოქმედ ამიერკავკასიის კომიტეტთან. უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა კარგად იცოდნენ, რომ მომავალში ქართული უნივერსიტეტი ხელს შეუწყობდა ეროვნული მსოფლმხედველობის მქონე თაობების აღზრდას, რომელიც ესე სჭირდებოდა ქვეყანას.

ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დაფუძნებას საფუძვლად დაედო რუსეთის 1914 წლის პირველი ივლისის კანონი კერძო უმაღლესი სასწავლებლების შესა-

ხებ, რომელმაც დადებითი როლი ითამაშა ჩვენ ქვეყანაში საგანმანათლებლო საქმის განვითარებაში. ამ კანონის მიხედვით, უმაღლესი სასწავლებლის დამფუძნებლებს უფლება ეძლეოდათ, რომ მთელი რიგი საგნების სწავლება სახელმწიფო ენაზე წარმართულიყო ერთი გამონაკლისით _ დისციპლინების ამორჩევა მთავრობის ორგანოთა პრეროგატივა იყო. კერძო უმაღლესი სასწავლებლის გახსნაც სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვის საფუძველზე ხორციელდებოდა, ხოლო, სასწავლო აღმზრდელობით დარგში დარღვევების შემთხვევაში იგი სასამართლო განაჩენით იხურებოდა. მრავალი ნაკლის მიუხედავად, ეს კანონი საფუძვლად დაედო ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დაარსებას თბილისში. ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა პეტერბურგში, კინოთეატრ «ელიტაში» გამართეს შეკრება, რომელზეც ი. ჯავახიშვილმა გააცნო დამსწრე საზოგადოებას მომავალი უნივერსიტეტის მონახაზი და ის სამართლებრივი საფუძვლები, რომელსაც 1914 წლის კანონი იძლეოდა და რუსეთში მოღვაწე ინტელექტუალურ სამეცნიერო პოტენციალს სამშობლოში გამომგზავრებისაკენ მოუწოდა. საზოგადოების მთავარი ამოცანა იყო ეროვნული კონცეფციის ბაზაზე ქართული უნივერსიტეტის დაარსება, რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა ქართული კულტურის, განათლების, მეცნიერების აღორძინება.

1917 წლის 12 მაისს დაფუძნდა ,,ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის განსაკუთრებული საზოგადოება", რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. მისი სტრუქტურული აგებულებისა და გაფართოებისათვის ზრუნვისას, უნივერსიტეტის დამაარსებლები გამოდიოდნენ არა მარტო კერძო, აკადემიური, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ინტერესებიდან.

ი. ჯავახიშვილმა შეიმუშავა და უნივერსიტეტის გამგეობას წარუდგინა ერთიანი ეროვნული განათლების განვითარების პროგრამა, სადაც მეცნიერულად დაასაბუთა მთავრობასთან ერთად საუნივერსიტეტო და ეროვნული საკითხების მოგვარების გზები და ფორმები. მისი მთავარი მიზანი იყო, ქართული საუნივერსიტეტო განათლება ეროვნული პოზიციების გამტარებელი ყოფილიყო.

ქართულ უნივერსიტეტს იგივე სამეცნიერო მიზანი ჰქონდა, როგორიც საზოგადოდ ყველა ხალხისა და ქვეყნის უმაღლეს სკოლას, მაგრამ, უპირატესობას საქართველოს, კავკასიისა და ახლო-აღმოსავლეთის ერების ისტორიის ყოველმხრივ შესწავლას აქცევდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საქართველოსა და ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას.

,,ტფილისის ქართული უნივერსიტეტის'' ძირითადი დებულება ა. ჩხენკელმა წარადგინა რუსეთის განათლების სამინისტროში, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ რუსეთში განვითარებულმა რევოლუციურმა მოვლენებმა საქმის დადებითად გადაწყვეტა დროებით შეაჩერა. 1917 წლის 22 აგვისტოს გაგზავნილი უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებები ამიერკავკასიის კომისარიატმა 1917 წლის 2 დეკემბერს დაამტკიცა.

თბილისის უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს საზეიმოდ აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II. საზოგადოების წინაშე სიტყვით წარდგნენ ა. ჩხენკელი, პ. მელიქიშვილი, ი. ყიფშიძე.

§2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხი.

დამფუძნებლები უნივერსიტეტის მუშაობის მთავარ ფორმას მის ავტონომიურობაში, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობაში ხედავდნენ. მისი წესდება ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო. უმაღლესი სასწავლებელი საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულს ვერ ჩამორჩებოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მეცნიერული გამოკვლევები პარტიების შეკვეთით, ან პირიქით, პოლიტიკური კურსის მიხედვით ყოფილიყო შესრულებული. ი. ჯავახიშვილი სწორედ ამ იდეებით ხელმძღვანელობდა, როდესაც უნივერსიტეტის წესდებას ამუშავებდა, რომელშიც მკაცრად იყო განსაზღვრული სახელმწიფოს მიმართება უნივერსიტეტთან და პირიქით. აქ მან ლაკონურად ჩამოაყალიბა უნივერსიტეტის სამოქმედო პროგრამა, მისი დანიშნულება ერისა და ქვეყნის წინაშე. წესდების მიხედვით, პროფესორთა საბჭო მკაცრად იცავდა მის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას და ხელმძღვანელობდა სასწავლო _ სამეცნიერო პროცესს. თუმცა არ შეიძლება, არ აღინიშნოს ისიც, რომ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ვალდებული იყო, ყოველწლიურად გაეგზავნა განათლების მინისტრისათვის ლექციების ნუსხა და სრული მონაცემები თანამშრომელთა განათლებისა და სამეცნიერო ცენზის შესახებ. ამრიგად, მთავრობამ ზოგადად მხოლოდ მეთვალყურისა და კონტროლის განსაზღვრული ფუნქცია შეითავსა. ი.ჯავახიშვილისა და მის თანამებრძოლთა მიერ ჩამოყალიბებული უმაღლესი სკოლის კონცეფცია ქმნიდა განათლების რეფორმის მწყობრ სისტემას. ეს იყო უნივერსიტეტის მაგალითზე განვითარებული, ეროვნული ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ინტერესების მეცნიერული პროგრამა, ასოცირებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ პოლიტიკასთან.

ამრიგად, თბილისის უნივერსიტეტი, მართვა-გამგეობის მხრივ, ავტონომიური იყო. ზოგადი მეთვალყურეობა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის კომპეტენციას შეადგენდა. უნივერსიტეტის წლიურ ხარჯთაღრიცხვას პროფესორთა საბჭო და გამგეობა ადგენდა. იგი ვალდებული იყო, მთავრობისათვის ეცნობებინა ყოველთვიურად გატანილი ფულის რაოდენობა და დანიშნულებისამებრ გამოყენება. პარალელურად საბჭო ინფორმაციას აწვდიდა საქართველოს უზენაეს საკონტროლო უწყებას. ეს სრულებით არ არღვევდა უნივერსიტეტის ავტონომიურობას, არ ზღუდავდა ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ფულის დახარჯვის უფლებას, არ აბათილებდა პროფესორთა საბჭოს მიერ შემუშავებულ გეგმებს, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის შიდა წესებს, მისი ცხოვრების გაუმჯობესებას.

§3. ქართველი მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს ერთობლივი მუშაობა ეროვნულ-საგანმანათლებლო რეფორმის შესამუშავებლად.

ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი დაფუძნდა ძირითადად ქართველი ხალხის უანგარო შემოწირულობების ხარჯზე, რაშიც, ფაქტობრივად, გამოიხატა ერის მისწრაფება და დამოკიდებულება უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისადმი. მთავრობისა და მეცენატების ხელშეწყობით დღითიდღე ფართოვდებოდა თბილისის უნივერსიტეტი თავისი სამეცნიერო ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკითა და კათედრებით, იზრდებოდა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რიცხვი. როგორც ნაშრომიდან ჩანს, საქართველოში ძლიერი საზოგადოებრივი აზრი იყო მომწიფებულ-ჩამოყალიბებული უნივერსიტეტის აღორძინებისათვის.

სწავლების დროს უდიდესი ყურადღება ექცეოდა ენის საკითხს. ეს შემთხვევითი არ იყო, რადგანაც ახლადდაარსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო კერას უნდა აერჩია სწორი, პრინციპული და ამავე დროს ისეთი ეროვნული საგანმანათლებლო კურსი, რომელიც გამოიწვევდა განათლების დარგის ძირეულ გარდატეხას, ახლის აგებასა და აღორძინებას. საქართველოს დამფუძნებელ კრებასთან შექმნილმა სახალხო განათლების კომისიამ, ლევან ნათაძის ხელმძღვანელობით და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების დახმარებით, ჩინებულად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მათ შეძლეს ამ დარგში სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და დანერგვა. უნივერსიტეტის პედაგოგებმა, მთავრობასთან ერთად, კარგად უწყოდნენ, რომ ახალი, ძირეულად შეცვლილი საგანმანათლებლო პოლიტიკა არსებულ დაწყებით სკოლებში სწავლებისადმი ახლებური მიდგომითა და სასწავლო მეთოდების და-

ნერგვით უნდა დაწყებულიყო. იგი უნდა დაახლოებულიყო ევროპულ სტანდარტებს. ამიტომაც ცდილობდნენ ევროპელი კოლეგების მიღწევების გაზიარებას და შემდგომ მათ პრაქტიკაში გამოყენებას.

ამრიგად, საშუალო სკოლის ახლებურად მოწყობას და მის განვითარებას საფუძველი სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ჩაეყარა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტრო უდიდეს ყურადღებას უთმობდა სკოლებისათვის სასწავლო პროგრამების შედგენასა და სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემას, რომელთა შემუშავებაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. პროგრამებში მკვეთრად იყო განსაზღვრული სასწავლო საგნის მიზანი და მასწავლებლის როლი მის სწავლებაში.

საქართველოს მთავრობა ყოველმხრივ ხელს უწყობდა უნივერსიტეტის აღორძინებას. მისი განკარგულებით, საზღვარგარეთიდან გამოწერილი წიგნები, პრეპარატები თუ სხვადასხვა ლაბორატორიული აღჭურვილობანი სახელმწიფო ბაჟისგან იქნა განთავისუფლებული.

უნივერსიტეტის შენობაში ფართოდ გაიშალა სამეცნიერო მუშაობა; შემოწირულობის ხარჯზე შეიქმნა ერთ-ერთი საუკეთესო წიგნსაცავი, რომელიც პირველ სართულზე განლაგდა. მადლიერების ნიშნად შემოწირული წიგნებისათვის დამზადდა სპეციალური ბეჭედი. უნივერსიტეტი საზღვარგარეთიდან იწერდა ახალ ლიტერატურას, ცდილობდა, დაემყაროებინა კავშირი საზღვარგარეთის ქვეყნების ბიბლიოთეკებთან, თვალყურს ადევნებდა სამეცნიერო ლიტერატურის ახალ გამოცემებს, მხედველობის არედან არ რჩებოდა არც ბუკინისტური იშვიათობა და არც უძველესი ქართული ხელნაწერები.

§4. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა მატერიალურ-სოციალური ბაზისი და სამეურნეო კორპორაციათა დაარსება

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა უაღრესად მწირი იყო 1918-1921 წლებში. მიუხედავად ასეთი კრიზისისა, მას არ აუღია არანაირი ვალი უცხო სახელმწიფოებისაგან. იგი საკუთარი ძალებით ცდილობდა მდგომარეობიდან გამოსვლას. იქმნებოდა სხვადასხვა სახის კორპორაციები, რომლებიც ნაწილობრივ აკმაყოფილებდნენ მოსახლეობის ელემენტარულ მოთხოვნილებებს.

უნივერსიტეტის თანამშრომლებმა იტვირთეს უდიდესი პასუხისმგებლობა _ ერის მომავლის ფორმირება, მისი ჩამოყალიბება და განათლებული, ერუდირებული ახალგაზრდობის აღზრდა. მაგრამ ხშირად მათ არ ჰქონდათ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები, რომლის გადაჭრასაც მთავრობა ცდილობდა შრომის სამინისტროს მეშვეობით.

ქვეყნის ბიუჯეტში გარკვეული თანხის გამოყოფა ხდებოდა ღარიბ სტუდენტთა სტიპენდიების, უფასო სასადილოების, იაფფასიანი ტანსაცმელისა და ბინებისათვის. მის დარეგულირებაში მონაწილეობას იღებდნენ უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირები და მათი გამგეობები, რომლებიც ცალკეულ ფაკულტეტებთან არსებობდნენ. მათი ზრუნვის საგანს შეადგენდა კულტურული დონის ამაღლებაც. სტუდკავშირის გამგეობა გააქტიურადა 1920 წლის დასაწყისიდან. მან მოითხოვა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსა და ფაკულტეტის სხდომებში მონაწილეობა სათათბირო ხმის უფლებით. უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა ეს მოთხოვნა მიზანშეუწონლად ჩათვალეს და უპასუხეს, რომ სტუდენტები უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ ფაკულტეტთა საბჭოების მუშაობაში.

პროფესორთა საბჭომ სტუდკავშირების უნივერსიტეტის გამგეობასთან ურთიერთობის ერთგვარი მოდელი შექმნა: სტუდენტური ორგანიზაციები სტუდენტობასა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის ურთიერთობის ერთგვარ საშუამავლო რგოლს წარმოადგენდნენ. მათი მოქმედება მკაცრად იყო განსაზღვრული. ერთი მხრივ ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ სტუდკავშირის შემადგენლობა პარტიული თვალსაზრისით ჭრელი იყო. ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლები ცდილობდნენ თავიანთი მსოფლმხედველობის გატარებას, რომლის წინააღმდეგიც იყო ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული უნივერსიტეტის პროფესურა.

1918 წლის 10 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდკავშირის გამგეობამ შეიმუშავა უნივერსიტეტის კოოპერატივის პროექტი, რომელშიაც დასაბუთებულად იყო წარმოდგენილი, თუ როგორ შეიძლებოდა პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებთან ერთად, თავი დაეღწიათ ამ გაუსაძლისი სოციალური პირობებისათვის კოოპერატივის კათედრის შექმნით, რომელიც აქ აღზრდილი კადრების მეშვეობით ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და დაისახავდა კრიზისიდან მისი გამოყვანის გზებს. ამ მიზნით სტუდკავშირმა დასახმარებლად მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს და სთხოვა მას,

დაჩქარებულიყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ეკონომიურ განყოფილებასთან, კოპერაციის კათედრის დაარსება. ამ კათედრის მატერიალურ უზრუნველყოფაზე შუამდგომლობა ამიერკავკასიის კოპერატივთა კავშირის გამგეობას უნდა ეტვირთა.

უნივერსიტეტის სტუდენტობა მარტო ეკონომიკურ მხარეზე როდი ზრუნავდა. სტუდკავშირის მთავარ გამგეობასთან შეიქმნა სამეცნიერო-ლიტერატურული სექცია. სტუდენტთა ინიციატივის მნიშვნელოვან ფაქტად უნდა იქნეს აღიარებულიყო 1920 წელს, ა.შილაკაძის რედაქტორობით, ყოველთვიური სამეცნიერო-ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალის «მომავალი»-ს გამოცემა. უნივერსიტეტში ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით დაარსდა დრამატული წრეც.

მთავრობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, შეძლებისდაგვარად, მხარში ედგნენ ახალგაზრდობას და ყოველნაირად ცდილობდნენ მათ დახმარებას.

მიუხედავად საქართველოში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს მთავრობამ, სრული იზოლაციის პირობებში, სხვა ქვეყნებისაგან სესხის აღების გარეშე, შეძლო საკუთარი საფინანსო და საბიუჯეტო სისტემის შექმნა.

ამ პერიოდში შეიქმნა მრეწველობის საზოგადოებრივი კოოპერატიული სექტორი, რომლის გამოყენებითაც მთავრობა ცდილობდა, მცირედ მაინც შეემსუბუქებინა ეკონომიკური სიდუხჭირე ინტელიგენციისათვის, ხოლო სტუდენტთა გაუსაძლისი მდგომარეობის დარეგულირებას იგი ახერხებდა სტუდკავშირის გამგეობების მიერ წამოყენებული წინადადების მხარდაჭერით. სტუდკავშირი ასრულებდა ერთგვარი მაკავშირებელი რგოლის ფუნქციას სტუდენტობასა და უნივერსიტეტის გამგეობას შორის.

უდიდესი როლი ითამაშა მთავრობის ხელშეწყობით დაარსებულმა სასადილოებმაც, რომლებსაც ერთდროულად სალონური დატვირთვაც ჰქონდათ _ სტუდენტები დისპუტებსა და საღამოებს მართავდნენ

უნივერსიტეტის პროფესურამ, სტუდენტებთან ერთად, მთავრობის ხელშეწყობით, მიუხედავად დიდი გასაჭირისა, ჩინებულად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

§5. უნივერსიტეტი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კულტურული რეფორმა.

სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ მთავრობამ ძირეულად შეცვალა ქართული კულტურის განვითარების გზა, შეწყდა მისი დევნა-შევიწროება. გაჩნდა ახალი პროგრესული ტენდენციები, რომელთაგან უმთავრესი საქართველოს კულტურის ნაციონალიზაცია, დემოკრატიზაცია და ევროპეიზაცია იყო.

1918-1921 წლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ქართული კულტურის სინთეზი ევროპულ კულტურასთან. ეს პროცესი ნელა, წინააღმდეგობების თანხლებით მიმდინარეობდა. დემოკრატიული მთავრობის წარმატებულ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ გატარებული განათლების რეფორმა, ურომლისოდაც უპერსპექტივო იქნებოდა თვით საქართველოს სახელმწიფოს აღდგენაც და მისი ეროვნული პოზიციაც.

პირველდაწყებითი სწავლება უფასო საყოველთაო და სავალდებულო გახდა, როგორც საფუძველი და შემადგენელი ნაწილი საშუალო და უმაღლესი სკოლისა. 1918 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო უღარიბესი ბავშვებისათვის ტანსაცმლის, საზრდოსა და სასწავლო ნივთების გადაცემა. 1918 წელს, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მთავრობამ დაიწყო სკოლებისა და სემინარიების ნაციონალიზაცია. ეს სასწავლებლები ქართულ სახელმწიფო სკოლებად გამოცხადდა. რაც მთავარია, სწავლება ყველგან ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ეს ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის გატარების კიდევ ერთი დადასტურებაა.

რაც შეეხება მთავრობის პოზიციას საეკლესიო პოლიტიკაში, ამოდიოდა რა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის პრინციპიდან, იგი ეკლესიისაგან სკოლის სრულ ჩამოშორებას მოითხოვდა, ხოლო 1918 წლის 26 ნოემბრის კანონით, სკოლებში «საღვთისჯულის» სწავლება აიკრძალა. თუმცა მსურველებს ეძლეოდათ უფლება, საკუთარი ხარჯებით შეესწავლათ იგი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში არ მუშავდებოდა და არ წყდებოდა მთავრობაში არც ერთი საკითხი, რომლის განხილვაშიც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს.

ქართველ მეცნიერთა უდიდეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 18 იანვრის კანონით უნივერსიტეტთან სასანიტრო ინსტიტუტის დაარსება, რომელმაც შემდგომში საფუძველი ჩაუყარა სამედიცინო ინსტიტუტს.

ამ პერიოდში უნივერსიტეტის მეცნიერთა თანადგომით აღორძინებას იწყებს სამუზეუმო საქმე, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობას უწევს ი.ჯავახიშვილი. მუზეუმის მუშაკთა მთავარი საქმიანობა იყო ექსპონატთა შეგროვება, რათა განადგურებისაგან ეხსნათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმობნეული სამუზეუმო ხელოვნების ნიმუშები.

1920 წლის 30 მარტის დამფუძნებელი კრების დეკრეტით შეიქმნა სამხატვრო გალერეა, რომელიც, ფაქტობრივად, ხელოვნების მუზეუმის ჩანასახი იყო და რომლის ამოცანასაც ძველი და ახალი ფერწერული ტილოებისა და ქანდაკებების შეგროვება წარმოადგენდა.

რესპუბლიკის მთავრობას მხედველობიდან არ გამორჩენია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული ფოლიანტები, უძველესი ხელნაწერები, გრაგნილები, რომელნიც უკვე დასაღუპად იყო განწირული. საჭირო იყო სასწრაფო, გადამჭრელი ზომების მიღება. 1920 წლის 28 აპრილის, დამფუძნებელი კრების დადგენილებით, შეიქმნა რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივი; რომ არა ს. კაკაბაძის, გ.ბოჭორიძის, გ. გოზალიშვილის, ვ. ბერიძის, შ. ჩხეტიასა და სხვათა ძალისხმევა საქართველოს არ ექნებოდა ის უძველესი ხელნაწერები და XIX საუკუნის მდიდარი საარქივო მასალა, რომელიც დღეს ინახება ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. ქართველი მეცნიერების მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული საეკლესიო და საერო წერილობითი ძეგლების ადგილ-სამყოფელი. ისინი დაცული აღმოჩნდა მოსკოვის და სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო-საჯარო ბიბლიოთეკებში, რუსეთის სხვადასხვა მუზეუმში, მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში, კიევის უნივერსიტეტში. ისტორიული ღირებულების მქონე ხელოვნების ნიმუშებისა და ნარატიული ძეგლების ადგილსამყოფელის დაზუსტება და სიების შედგენა დაევალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერსა და სამეცნიერო არქივის გამგეს სარგის კაკაბაძეს, რომელმაც სამშობლოს დაუბრუნა ხელნაწერებით სავსე 39 ვაგონი.

1920-1921 წლების მიჯნაზე გააქტიურდა თეატრალური საზოგადოების მუშაობა. იგი ცდილობდა, მოეძებნა ეროვნული სტილი და საკუთარი, ქართული რეპერტუარი დაემკვიდრებინა სცენაზე.

1918-1921 წლების სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლები იყვნენ ევროპული მასშტაბის სახელმოხვეჭილი მეცნიერები და თბილისის უნივერსიტეტის ფუძემდებ-

ლები. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, ატარებდა არაერთ მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებას. ქართველ მეცნიერთა უშუალო მონაწილეობით საქართველოში აღორძინდა სამუზეუმო საქმე და ქართული თეატრალური ხელოვნება, დაარსდა სამხატვრო გალერეა და ცენტრალური არქივი. ამ პერიოდში საქართველოს მთავრობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ერთად იღვწოდნენ ეროვნული იდეალების რეალიზაციისათვის.

თავი მეოთხე _ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკისადმი

§1. რელიგიის სწავლების პრინციპების შემუშავება თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1919 წლიდან სასკოლო პროგრამებიდან ამოღებულ იქნა ,,საღვთო სჯული''. მთავრობის ამ პოლიტიკამ სერიოზული ზიანი მიაყენა იმ ეროვნულ სასკოლო განათლებას, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდა ქართველი ერი.

,,საღვთოსჯულის'' სწავლების გაუქმებამ უკმაყოფილება გამოიწვია როგორც საერო სასწავლებლის პედაგოგთა შორის, ისევე საკათალიკოსო საბჭოს წევრებშიც, რომლებმაც 1920 წლის 21 აპრილს დახმარებისათვის მიმართეს უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს. საკითხის სათანადო შესწავლის შემდეგ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა საკათალიკოსო საბჭოს და აცნობა, რომ საღვთო სჯულის სწავლება სკოლებში სასწავლო გეგმის ნაწილი იყო. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ უნივერსიტეტის პროფესურა არ ეთანხმებოდა ხელისუფლების ამგვარი მიმართულებით საგანმანათლებლო რეფორმის გატარებას და ქართული ტრადიციების ერთგული რჩებოდა.

აქამდე უცნობი საარქივო დოკუმენტების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ 1920 წლის იანვარში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ი. ჯავახიშვილის მოთხოვნით, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტთან არსდება «სარწმუნოებრივ მეცნიერებათა» განყოფილება (რელიგიის ფილოსოფიის კურსის დამატებით), რომლის ხელმძღვანელობაც კ. კეკელიძეს დაევალა. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებული ყუ-

რადღება მიაპყრო ქრისტიანული სარწმუნოების შესწავლას. განყოფილების დაარსებამ ახალი ამოცანები დაუსახა უნივერსიტეტის მეცნიერებს, რომელთა მიზანიც საქრისტიანო დოგმატიკის, მწერლობის, მთარგმნელობის, საეკლესიო სამართლისა და ზნე-ჩვეულებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა უნდა გამხდარიყო.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად აქტიურ მუშაობას აწარმოებდა სასულიერო განათლების მქონე კ. კეკელიძე. მანვე შეიმუშავა სარწმუნოების დარგის კვლევა-სწავლების გეგმა და 1920 წლის 29 ივნისს განსახილველად წარუდგინა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს. ამრიგად, საარქივო მონაცემებით, სარწმუნეობრივი მეცნიერების სახით უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი დარგი, ქრისტიანული სარწმუნოების ცალკე განყოფილება, რელიგიის ფილოსოფიის კურსის თანხლებით. ნიშანდობლივია, რომ ეს პროცესები მიმდინარეობდა მთავრობის ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის წარმოების ფონზე. რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ი. ჯავახიშვილი, თანამებრძოლებთან ერთად თავისი პოზიციის გამოხატვით, წინ აღუდგა მთავრობის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიმართული იყო რელიგიის სწავლების გასაუქმებლად უნივერსიტეტსა თუ სკოლებში. ი.ჯავახიშვილმა, მის მიერ შედგენილი პროგრამით, აშკარა ბრძოლა გამოუცხადა ხელისუფლების ანტისარწმუნოებრივ პოლიტიკას. რექტორი, სარგებლობდა რა უნივერსიტეტის ავტონომიით, კერძოდ კი მის შიდა საქმიანობაში ჩაურევლობის მანდატით, ცდილობდა, თბილისისი უნივერსიტეტის სტუდენტობას ღრმად შეესწავლა ქრისტიანული ღვთისმეტყველება და ფილოსოფია, რაც, მთავარია, იგი ხელს უწყობდა სასულიერო ფენას უმაღლესი განათლების მიღებაში, რადგანაც განათლებული სამღვდელოება აუცილებელი პირობა იყო ერის სულიერი ფორმირებისათვის.

ზემოაღნიშული აშკარად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ 1918-1921 წლებში ქაველ მეცნიერთა ყურადღება ზოგადად რელიგიისა და კერძოდ, ქართული ეკლესიის ისტორიის შესაწავლისაკენ იყო მიმართული. ცარიზმის პოლიტიკის შედეგად გაძარცული და გაყიდული იქნა საქართველოს ეკლესიის საგანძური და ქონება. ამ პროცესის ნაწილობრივი გაგრძელება იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საეკლესიო პოლიტიკა, რაც, ნებსით თუ უნებლიეთ, დიდ ზიანს აყენებდა ეროვნულ ეკლესიას. საჭიროება ითხოვდა, გატარებულიყო შესაბამისი ღონისძიებები ჯერ კიდევ შემორჩენილი საგანძურის გადასარჩენად. ამ მამულიშვილურ საქმეს სათავეში ჩაუდგა უნივერსი-

ტეტის სამეცნიერო დასი. საგანგებოდ დაარსდა სამუზეუმო ფონდი, რომელმაც ერს მრავალი ისტორიული მნიშვნელობის ნივთი გადაურჩინა.

§2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელთაAდამოკიდებულება ეკლესიისადმი.

ნ. ცხვედაძის მოთხოვნით, ქართული გიმნაზიის შენობას დაემატა ეკლესია ვესტიბიულის თავზე, ხოლო მოპირდაპირე მხარეს სააქტო დარბაზი. კლუბიც და ეკლესიაც მთელი შენობის სიმაღლეს ავსებდა, ხოლო ყველა სხვა ოთახი ამ ცენტრალური ბირთვის გარშემო იყო განლაგებული. ტაძარი, რომელიც 800 კაცს იტევდა, დავით აღმაშენებლის სახელობის იყო.

საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტის შენობაში განთავსებულ ეკლესიაში ღვთისმსახურება ტარდებოდა 1920 წლის ზაფხულამდე. სამწუხაროდ, არც საარქივო მასალა და არც თანამედროვე მეცნიერთა მოგონებები არაფერს გვამცნობენ იმ მიზეზებზე, რომლის საფუძველზეც მოხდა ეკლესიის გაუქმება.

მოგვიანებით გ.ჩუბინაშვილი იუწყებოდა საწყობად ქცეული უნივერსიტეტის ეკლესიის ხელოვნების მუზეუმად გადაკეთების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საკმაოდ უარყოფითად იყო განწყობილი რელიგიისადმი, უნივერსიტეტი, თავისი ავტონომიური უფლებებიდან გამომდინარე, მკაცრად იცავდა საუნივერსიტეტო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას. უნივერსიტეტის საოქმო ჩანაწერში, რომელიც 1919 წლის 12 აპრილით თარიღდება, აღნიშნულია: «სააღდგომო დასვენება ლექციების კითხვა შეწყდეს ვნების კვირაში, ხუთშაბათს». ამ პერიოდის სტუდენტობას საშუალება ჰქონდა, უნივერსიტეტის შენობაში არსებულ სამლოცველოში დასწრებოდნენ წირვა-ლოცვას, რაც კიდევ უფრო აახლოებდა ქართველ ახალგაზრდობას ეკლესიასთან, რომლისაგან გამიჯვნასაც ასე ცდილობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. უნივერსიტეტის მესვეურები მეტისმეტი სიფრთხილით ეკიდებოდნენ სარწმუნოებრივ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს და მათი გადაჭრისას ყოველთვის ამოდიოდნენ ეროვნული პოზიციებიდან.

§3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სამღვდელოების ერთობლივი ძალისხმევა საქართველოს ეკლესიის დაცვა-გადარჩენის საქმეში.

1918-1921 წლებში მთავრობის მიერ გატარებული საეკლესიო პოლიტიკის შედეგად დაიხურა ასობით ეკლესია-მონასტერი; იძარცვებოდა, ინგრეოდა და ირბეოდა ტაძრები. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, საქართველოს საეკლესიო განძეულობის დაცვა-გადარჩენის მიზნით, მიემგზავრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მათ აღსანუსხად და აღსაწერად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა თხოვნის საფუძველზე, 1919 წლის 24 ოქტომბერს მთავრობამ მიიღო «დეკრეტი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ძვირფასი ნივთების შესაძენად სამუზეუმო თანხის დაარსებისათვის». ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა იმ ეროვნულ საგანძურს, რომელიც წლების განმავლობაში გაედინებოდა საზღვარგარეთ. დეკრეტით დადგინდა, რომ განათლების სამინისტროსთან დაარსებულიყო ორგანო, რომელიც იზრუნებდა სამუზეუმო ექსპონატებზე, აღნუსხვდა მათ, მოახდენდა ფოტოგრაფირებას, ესკიზებს დაამზადებდა, ალბომებს გამოსცემდა და სხვ. ამ ყოველივეს კი სათანადო თანხები ესაჭიროებოდა. ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, უნივერსიტეტის წარმომადგენლები მთავრობის მხრიდან ფინანსურ მხარდაჭერას მაინც გრძნობდნენ.

უნივერსიტეტის კადრი და მომსახურე პერსონალი, სასულიერო ფენასთან ერთად, ცდილობდა, აქტიური როლი შეესრულებინა ქვეყნის სამეცნიერო თუ კულტურულ საქმიანობაში.

საგანძურის გადარჩენის ყველაზე საიმედო ადგილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღმოჩნდა. აქ იყრიდა თავს საისტორიო_საეთნოგრაფიო საზოგადოება, უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სიძველეთა საეკლესიო მუზეუმი. მათი მთავარი მიზანი იყო, დაეცვათ და ერისთვის შემოენახათ ხელოვნების თითოეული ნიმუში იმ სახით, როგორითაც მან მოაღწია ჩვენამდის და მოეხდინათ მისი მეცნიერული შესწავლა. 1921 წ. 16 თებერვალს საქართველოს საზღვრებთან შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ი. ჯავახიშვილის, ე.თაყაიშვილის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდესა და დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის შენობის მეორე სართულზე მყოფი სამუზეუმო ექსპონატები განთავსდა ყუთებში, თითოეულ მათგანს დაერთო სია, დაილუქა და გაიგზავნა სადგურში. სიის ერთი ეგზემპლიარი დარჩა თბილისში. ამრიგად, უნივერსიტეტის შენობაში გადაწყდა ქართული საუნჯის საზღვარგარეთ გახიზვნის საკითხიც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში თავმოყრილი სამუზეუმო ექსპონატები, რომლებიც საზღვარგარეთ არ იქნა გატანილი, 1924 წლამდე ინახებოდა დაბეჭდილ ყუთებში. საჭირო იყო მათი ამოღება, დაბინავება და ექსპოზიციისათვის საჭირო პირობების შექმნა. მუზეუმისათვის საუკეთესო სივრცეს წარმოადგენდა უნივერსიტეტის შენობაში გაუქმებული სამლოცველო. 1924 წლიდან 1930 წლამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მუზეუმი ყოფილი ეკლესიის შენობაში, გუმბათის ქვეშ, ფუნქციონირებდა, რომლის ბაზაზე მოგვიანებით შეიქმნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.

აქ, ამ ხელოვნების კაბინეტ-მუზეუმში, გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით, აღიზარდა ხელოვნებათმცოდნეთა არაერთი თაობა. უნივერსიტეტის თანამშრომლები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით, აწყობდნენ გასვლით ექსპედიციებს, რომელთა მიზანი იყო არა მხოლოდ ხელოვნების ნიმუშების შეგროვება, არამედ მათი სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებაც.

თავი მეხუთე _ ევროპული კულტურისა და საგანმანათლებლო პრინციპების დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სხვადასახვა ქვეყნის უნივერსიტეტებიდან დაბრუნებული ქართველი პროფესურა მშობლიურ უნივერსიტეტში განათლების ევროპული სისტემის დანერგვას ცდილობდა, საამისოდ უმაღლესი სკოლა სათანადო სამეცნიერო ლიტერატურას საჭიროებდა. აქედან გამომდინარე, ქართველი მოღვაწენი საზღვარგარეთიდან იწერდნენ სამეცნიერო წიგნებს, პროგრამებსა და წესდებებს. სასწავლო სამეცნიერო გეგმის შედგენისას ხელმძღვანელობდნენ ევროპული და რუსული განათლების სინთეზით, რომელსაც, ტრადიციულ-ეროვნულ საფუძველზე აფუძნებდნენ.

ვინაიდან საქართველოს განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენისას მთავრობამ მთავარი ყურადღება საქართველოს აგრარულ ქვეყნად გადაქცევას მიაპყრო, აუცილებელი გახდა კვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადება და შესაფერისი ტექნიკის მოზიდვა. ამ მიზნით საზღვარგარეთ გაგზავნილი იქნა მეცნიერთა ჯგუფი. მათი ცოდნა, გამოცდილება, ევროპიდან ჩამოტანილი პროგრამები, მეთოდური რეკომენდაციები ი. ჯავახიშვილის მიერ შეჯერდა და ქართულ რეალობასთან მისადაგებული, დაინერგა უნივერსიტეტში.

რადგან ქვეყნის აღმშენებლობას ევროპული განათლების ეროვნული ცნობიერების მქონე და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე თაობა ესაჭიროებოდა, უნივერსიტეტი, მთავრობასთან ერთად, ცდილობდა, საზღვარგარეთ ცოდნის გასაღრმავებლად რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა გაეგზავნა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ დროისათვის ქართულ უნივერსიტეტში, მსგავსად ევროპულისა, ერთი სამეცნიერო ხარისხი იყო მიღებული, კერძოდ – დოქტორისა, იგივე «მოძღვართ-მოძღვრისა». ამით იგი განსახვავდებოდა რუსეთისაგან, სადაც ორი ხარისხი არსებობდა. მეცნიერს, რომელსაც რუსეთის უმაღლეს სამეცნიერო სკოლაში პროფესორობა ან დოცენტობა ჰქონდა მოპოვებული, თბილისის უნივერსიტეტის გამგეობასა და პროფესორთა საბჭოს განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლო მისი პროფესორად მოწვევა. ვისაც რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხისათვის მხოლოდ სამაგისტრო გამოცდა ჰქონდა ჩაბარებული, ვიდრე დისერტაციას დაიცავდა, პროფესორის მოადგილედ ან მოვალეობის აღმსრულებლად ითვლებოდა. უნივერსიტეტს უფლება ჰქონდა სამეცნიერო ხარისხისათვის უნივერსიტეტთან დატოვებული სათანადო გამოცდის შემდეგ «მოძღვართ-მოძღვრობის» სამეცნიერო ხარისხით აღეჭურვა.

პროფესორთა საბჭო უფლებამოსილი იყო, განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებებისათვის დისერტაციის დაცვის გარეშე მიენიჭებინა დოქტორის ხარისხი. ამრიგად, 1918 წელს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ, ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, შეიმუშავა ევროპული სამეცნიერო ხარისხის მოპოვების ძირითადი წესები: მათ შორის, ერთი სამეცნიერო ხარისხი; იგი არ ანიჭებდა მის მომპოვებელს არავითარ განსაკუთრებულ უფლებებს და თავისთავად არ ითვლებოდა საკმარისად უნივერსიტეტის ამა თუ იმ კათედრის დასაკავებლად.

სადოქტორო გამოცდებს ატარებდნენ უნივერსიტეტის სათანადო ფაკულტეტები. იგი არსებითად განსხვავდებოდა სახელმწიფო გამოცდებისაგან, როგორც თავისი მიზნით, ისე უფლებრივად. გამოცდებზე დაიშვებოდნენ ყველა უმაღლესი განათლების მქონე პირნი განურჩევლად იმისა, თუ სად ჰქონდათ მიღებული მათ ეს განათლება. დისერტანტს უნდა წარედგინა უნივერსიტეტის რექტორისათვის თხოვნა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთებითურთ. გამოცდები მიმდინარეობდა ფაკულტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამით საჯაროდ, ფაკულტეტის სხდომაზე. ფაკულტეტის ყოველ წევრს გამოცდაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა. დოქტორანტურის გამოცდების ჩაბარების ვადა იყო არა უმეტეს 2 აკადემიური წლისა. გა-

მოცდების შედეგი უნდა შეფასებულიყო ფაკულტეტის სხდომაზე მიღებული დადგენილების საფუძველზე, წარუმატებლობის შემთხვევაში გამოსაცდელს ნება ეძლეოდა გამოცდაზე ხელახლა მისვლისა არა უადრეს ერთი წლის შემდეგ და არა უმეტეს ორგზისა ერთსა და იმავე უნივერსიტეტში. ზეპირი გამოცდების ჩაბარების შემდეგ ხარისხის მაძიებელი ვალდებული იყო ერთი წლის ვადაში წამოედგინა წერილობითი შრომა. საკვლევ თემას ირჩევდა თვით გამოსაცდელი და იგი არავის წინასწარ შეთანხმებას არ საჭიროებდა. ნაშრომის ზომა სავალდებულო ნორმით არ განისაზღვრებოდა. წარმოდგენილ შრომას ეცნობოდა ყოველი წევრი ფაკულტეტისა, ხოლო ორი მათგანი ვალდებული იყო, არა უგვიანეს სამი თვისა წარმოეგინა წერილობითი დასაბუთებული განხილვა ფაკულტეტში. აღნიშნული მასალის მიხედვით ფაკულტეტი გამოსაცდელს ანიჭებდა დოქტორის ხარსხს და თავის დადგენილებას აცნობდა უნივერსიტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. შემდგომ მას მიეცემოდა შესაფერისი სიგელი.

სადოქტორო გამოცდების ჩასაბარებელი საგნები, ამ ძირითადი წესების მიხედვით იყოფოდა მთავარ და დამხმარე საგნებად. გამოცდის წინ დისერტანტი პროფესორს წარუდგენდა პროგრამას არჩეული საკითხებისა, წყაროების აღნიშვნით. ხარისხის მინიჭება ხდებოდა არა თითოეული საგნის, არამედ დარგის მიხედვით.

უნივერიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირად შემადგენლობას ეკუთვენოდნენ დამსახურებული პროფესორები, უხუცესი პროფესორები, დოცენტები, პრივატ-დოცენტები, პროზექტორები, ასტრონომ-დამკვირვებლები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1918 წლის წესდების მიხედვით, პროფესორად ირჩევდნენ მხოლოდ თბილისის ან უცხოეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის ისეთ მეცნიერს, რომელსაც აუცილებლად ჰქონდა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, სამეცნიერო შრომები და აკადემიური მოღვაწეობის ორი წლის გამოცდილება. სათანადო წესის თანახმად, ფაკულტეტი მას პროფესორად ირჩევდა, ხოლო შემდგომ მტკიცდებოდა პროფესორი საბჭოზე. ფაკულტეტის საბჭოს პირის პროფესორად არჩევისას შეეძლო საჯარო კონკურსით ან მოწვევის წესით სარგებლობა. იგი შესაბამისი ფაკულტეტის მიერ ირჩეოდა ფარული კენჭისყრით. დაცვას წინ უძღოდა ფაკულტეტის მიერ არჩეული კომისიის წერილობითი მოხსენება კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობისა და მისი სამეცნიერო შრომების შესახებ. არჩევა ხმის უმეტესობით წყდებოდა. საბოლოო შედეგი უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსთვის უნდა წარედგინათ დასამტკიცებლად.

კათედრაზე მოწვეული პროფესორი ხუთი წლით ითვლებოდა არჩეულად. ვადის გასვლის შემდგომ იგი კვალვ იყრიდა კენჭს და ამჯერად თანამდებობაზე 15 წლით რჩებოდა. არჩევნები მიმდინარეობდა ფარული კენჭის ყრით. წარდგენილი კანდიდატი საბჭოს წინაშე აკეთებდა მოხსენებას თავისი ხუთ წლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, რომელიც წერილობით ერთვოდა მის პირად საქმეს.

დამსახურებულ პროფესორად, თ.ს.უ-ის 1918 წლის წესდების თანახმად, იწოდებოდა ის პროფესორი, რომელსაც უნივერსიტეტში 20-წლიანი (დოცენტობიდან ან პრივატ-დოცენტობიდან მოყოლებული) სამეცნიერო-სასწავლო მოღვაწეობის გამოცდილება ჰქონდა და ფაკულტეტის მიერ იყო წარმოდგენილი. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ უხუცესი პროფესორი დამსახურებულ პროფესორად ითვლებოდა მანამ, სანამ მას სურდა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის საბჭოს წევრობა და მისი უფლებები შეუზღუდავი იყო. თუმცა 30-წლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის შემდგომ პროფესორი მოვალე იყო, კათედრა დაეტოვებინა.

დოცენტად წარდგინება ხდებოდა მეცნიერისა, რომელსაც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოეპოვებოდა, ოღონდ არ ჰქონდა აკადემიური მოღვაწეობის 2 წლის გამოცდილება. არჩევნებს წინ უძღოდა სტუდენტების წინაშე წაკითხული სანიმუშო ლექცია, რომელიც ფაკულტეტის მიერ დანიშნულ თემას ეხებოდა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში დოცენტად ირჩევდნენ ისეთ მეცნიერს, რომელსაც არ ჰქონდა დაცული სადოქტორო დისერტაცია, ოღონდ გამოქვეყნებული ჰქონდა სამეცნიერო შრომები და ჩაბარებული ჰქონდა დოქტორანტურის გამოცდები. ასეთ დოცენტს უნივერსიტეტის მხრიდან ეძლეოდა განსაზღვრული ვადა დისერტაციის დაცვისა და შემდგომ ხარისხის მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დოცენტობას კარგავდა.

პრივატ-დოცენტი შეიძლება ყოფილიყო დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე მეცნიერი, რომელსაც სურდა ლექციების წაკითხვა სათანადო ფაკულტეტზე. იგი განცხადებით მიმართავდა უნივერსიტეტის რექტორს, ხოლო საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდგომ, ფაკულტეტი მოისმენდა პრივატ-დოცენტობის მაძიებლის ორ სანიმუშო ლექციას, რომელთა მოწონების შემთხვევაში მას ეძლეოდა ამ თანამდებობის დაკავების უფლება. ფაკულტეტი აუცილებლად წარუდგენდა მას საბჭოსა და გამგეობას.

ყოველი პროფესორი, დოცენტი და პრივატ-დოცენტი, რომელიც ერთი სემესტრის განმავლობაში ლექციებს არ წაიკითხავდა და თავის მოვალეობას არ შეასრულებდა, გადამდგარად უნდა ჩათვლილიყო და უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის სიიდან ამოშლილიყო. ამაზე თვალყურის დევნება უნივერსიტეტის რექტორსა და სათანადო ფაკულტეტის დეკანს ევალებოდა.

1920 წლის 24 იანვარს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ განიხილა ქართული უნივერსიტეტის ნოტიფიკაციის საკითხი და გამგეობას დაავალა შესაბამისი ტექსტის შედგენა. პროფესორთა საბჭოს მოწონების შემდგომ ნოტიფიკაციის ტექსტი დაეგზავნა ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებს. უცხოეთის უნივერსიტეტებიდან გამოხმაურების შესახებ დოკუმენტურ მასალას ვერ მივაკვლიეთ.

ამრიგად, თბილისის უნივერსიტეტი სულ უფრო ააქტიურებდა თავის კონტაქტებს საზღვარგარეთთან და ცდილობდა ევროპული კულტურის მიღწევების დანერგვას ქართულ განათლებასა და მეცნიერებაში.

საკანდიდატო დისერტაციის დასკვნითი ნაწილი წარმოადგენს ნაშრომის თავებისა და პარაგრაფების შემაჯამებელი ნაწილების ერთობლიობას.

სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ გამოქვეყნებული შრომები:

- ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესორთა საბჭოს ოქმები. 1918-1926 წწ., თბ., 2006 წ.
- უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სამღვდელოების ერთობლივი ძალისხმევა საეკლესიო განძის დაცვა-გადარჩენისათვის 1918-1921 წწ. ჟრ. ამირანი, № 12, მონრეალი-თბილისი, 2005 წ.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოკიდებულება ეკლესიისადმი, კრ. საისტორიო მოამბე, № 77-78, 2004-2005 წწ.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოკიდებულება დემოკრატიული მთავრობის სარწმუნეობრივი პოლიტიკისადმი, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თსუ შრომები XVI, 2003 წ.
- „ვერ დავმშვიდდები, სანამ ის ნივთები საქართველოში არ დაბრუნდება“_ ექვთიმე თაყაიშვილი და ორი უცნობი საარქივო დოკუმენტი ქართული განძის გატანასთან დაკავშირებით, კრ. საისტორიო მოამბე, №75-76, თბ, 2002-03 წწ.

- გამოჩენილი მეცენატი და საზოგადო მოღვაწე (დავით ბებუთაშვილის ღვაწლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე), კრ. საისტორიო მოამბე, №75-76, თბ, 2002-03 წ
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების სათავეებთან და განათლების ევროპული ორიენტაცია, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თსუ შრომები XIII, 2002 წ.
- სამშობლოს დაშორებით, ივანე ნიკურაძის წერილები გერმანიიდან, კრ. საისტორიო მოამბე, № 73-74, თბ, 2001 წ.
- სიძველეთა გადარჩენისა და დაცვის სულისკვეთებით _ პროფ. ს. კაკაბაძის საარქივო მოღვაწეობა საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დოკუმენტების მიხედვით, კრ. საისტორიო მოამბე, №63-64, თბ, 1992 წ.
- მეცნიერებისადმი დიდი პასუხისმგებლობით _ პეტრე მელიქიშვილის ცხოვრების ამსახველი ზოგიერთი დოკუმენტი, კრ. საისტორიო მოამბე, № 61-62, 1991 წ.
- ისიდორე ვარაზაშვილი და ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოების საქმიანობა საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დოკუმენტების მიხედვით, კრ. საისტორიო მოამბე, № 59-60, თბ, 1990 წ.